სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბრძანება

20.07.2016. N 134

თბილისი

უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო

პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/6 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ", საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 11 ივლისი N 2080 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2016-2017 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტისსწავლების სხვადასხვა საფეხურებზე (სადოქტორო, სამაგისტრო, საბაკალავრო) უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა)მსურველებმა, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2016 წლის 24 აგვისტოდან 19 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე შაბათ კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N 350);
2. სტუდენტთა შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;

3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე.ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების დეკანების მ/შ მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არაუგვიანეს 2016 წლის 23 სექტემბრისა;
5. 2016 2017 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და თანდართული დოკუმენტაციით სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარდგენა უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არაუგვიანეს 2016 წლის 26 სექტემბრისა;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ.კლიმიაშვილს;
7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

ვიცე-რექტორი

ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი

ი.ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის

დეპარტამენტის უფროსი

ბ.მაისურაძე

დანართი 1

უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
5. სტუ-ს ბუღალტერიიდან (ოთახი N 210) ცნობა გადახდის შესახებ

შენიშვნა: შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის მსურველთა დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სტუ-ს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების შესაბამისად, საფაკულტეტო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე.

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ვიცე–რექტორი _____ ლ. კლიმიაშვილი

სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტთა შიდა მობილობა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:	
სახელი და გვარი:	
სტუდენტის პირადი ნომერი:	
განათლების საფეხური:	❑ ბაკალავრიატი ❑ მაგისტრატურა ❑ დოქტორანტურა

ინფორმაცია გამომშვები ფაკულტეტის შესახებ:	
გამომშვები ფაკულტეტის დასახელება:	
გამომშვებ ფაკულტეტზე გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
გამომშვებ ფაკულტეტზე სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
მიმღები ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ გამომშვებ ფაკულტეტზე შესწავლილი საგნების ჩამონათვალი სემესტრების მიხედვით	სასწავლო კურსის მოცულობა,		შეფასება	მიმღებ ფაკულტეტზე საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა	
	ECTS კრედიტი	აკადემიური საათი			ECTS კრედიტი	აკადემიური საათი

გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ:

სტუდენტის მიერ გამომშვებ ფაკულტეტზე შესწავლილი საგნების რაოდენობა:	

სტუდენტის მიერ გამომშვებ ფაკულტეტზე დაგროვილი კრედიტების რაოდენობა:	
მათ შორის მიმღები ფაკულტეტის მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა:	
მათ შორის მიმღები ფაკულტეტის მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	

დასკვნა:

❑ რეკომენდებულია გადმოყვანა ❑ გადმოყვანა არ არის რეკომენდებული

შენიშვნა

ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა:

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი

№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი
	სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:	

სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი:

ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი:

ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

ხელმოწერა

აკადემიური დეპარტამენტის უფროსი:

ხელმოწერა